MES 9 23 0000079797

25/01/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.01.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:05
სხდომის დასრულების დრო: 17:32
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
ხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუქნტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ერეკლე ასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
7. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
9. თამარ სირაძე **-** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

11. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ინგა დიაკონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარიამ კილანავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მარიამ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ლევან მჭედლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	არჩილ ჯანგირაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	თინათინ ღუდუშაური		ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	I
3	რევაზ ტაბატაძე		აკადემიური პერსონალი	I

4	მაია ჩხეიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	დევი ხვედელიანი	**სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფოსასწავლო უნივერსიტეტი**	სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი	II
6	ანა ფირცხალაშვილი		სამართლის პროგრამის თანახელმძღვანელი	II
7	ქეთევან ლატარია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
8	ჯემალ ძაგანია	**სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**	რექტორი	III
9	გიორგი ზუბიტაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
10	მაია ხურცილავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
11	დავით მახვილაძე	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	IV
12	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	IV
13	ნუგზარ წერეთელი		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი.	IV
14	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.	IV
15	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	IV
16	თამარ ცინცაძე		ფარმაციის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	IV
17	ნანა გელოვანი		პროფესორი	IV

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^{2}-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^{5}-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფოსასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ქართულენოვან საბაკალავრ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის” ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “მენეჯმენტის” ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “მენეჯმენტის” ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
7. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ქართულენოვან საბაკალავრ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
8. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფოსასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ქართულენოვან საბაკალავრ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;

ეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
ესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის” ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
ეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
ეხუთე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “მენეჯმენტის” ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
ეექვსე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “მენეჯმენტის” ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
ეშვიდე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ქართულენოვან საბაკალავრ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;
ერვე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა გოდერძი ბუჩაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული საკითხების ზეპირი მოსმების პერიოდში სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

ლალი ოდიშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომლელიც ეხება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების ცვლილებას, კერძოდ ფინანსების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, მარკეტინგის ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, მენეჯმენტის ქართულ და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებს და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრ საგანმანათლებლო პროგრამებს.
აღნიშნული კორესპონდენციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დადგინა რომ, ბაზრის კვლევის შემდგომ უნივერსიტეტემა მოახდინა პროგრამების მოდერნიზება და შეიცვალა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება და ჩამოაყალიბა ფინანსების პროგრამაზე, „ფინანსების“ მაგივრად აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამის სახელწოდებებად განისაზღვრა ‘’ბიზნეს ადმინისტრირება - ფინანსები‘’, „მარკეტინგის“ პროგრამებში სახელწოდებად განისაზღვრა „ბიზნეს ადმინისტრირება - მარკეტინგი“. იგივე მიდგომით არის „მენეჯმენტი“, „საბუღალტრო აღრიცხვა და საბუღალტრო აუდიტის“ პროგრამებზე სახელწოდებები შეცვლილი, შესაბამისად „ბიზნეს ადმინისტრირება -

მენეჯმენტი“ და „ბიზნეს ადმინისტრირება- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტში“. ცვლიება მხოლოდ საგანმანათლებო პროგრამის სახელის შეცვლას შეეხო. შესაბამისად აკრედიტაციის დებულების მიხედვით მასზე მონიტოიგი არ განხორცილებულა.
აკრედიტაციის დებულების მიხედვით აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდგომ 30-ე მუხლის 1 პუნქტით დაწესებულებამ შუამდგომლობით უნდა მიმართოს ცენტრს და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიძლება განხორცილედეს მონიტორინგი თუ გამოვლინდება, რომ პროგრამის სახელწოდების ცვლილება გამოწვეულია და დაკავშირებულია სხვა რიგ კომპონენტ ცვლილებებთან ან შეიძლება მიიღოს ცნობად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საბჭოს გადაწყვეტილება, რათა შესაბამისად აისახოს საინფორმაციო სისტემაში.
ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა დასვა კითხვა, თითოეული პროგრამების მიხედვით თითოეულმა პროგრამამ ბოლოს როდის გაიარა აკრედიტაცია და შესაბამისად როდის არის შემდგომი აკრედიტაციის ვადა.
ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა ლალიმ უპახუა, რომ „მარკეტინგის“ საგანმანათლებლო პროგრამას 2024 წლის 31 დეკემბერს უწევს აკრედიტაციის გავლა, ხოლო გავლილი აქვს 2018 წელს, როგროც ქართულენოვან ასევე ინგლისურენოვანს. „მენეჯმენტის“ პროგრამამ, როგორც ქართულენოვანმა ასევე ინგლისურენოვანმა პროგრამებმა 2020 წელს 13 ივლისის გადაწყვეტილებით აქვთ 7 წლიანი აკრედიტაცია მინიჭებული, ამიტომ მათი ვადა მინისტრის ბრძანების მიხედვით გაიზარდა 2031 წლის 31 დეკემბრამდე. „საბუღალტო აღრიცხვა და აუდიტის“, როგორც ქართულენოვანს და ინგლისურენოვან აკრედიტაცის გავლა 2014 წლის კლასტერში მოუწევთ. „ფინანსების“ ქართულენოვანმა და ინგლისურენოვანმა პროგრამებმა 2019 წელს გაიარეს აკრედიტაცია. ხოლო აკრედიტაცია უწევთ 2024 წლის კლასტერზე, რადგან ახალი პროგრამები იყო და 4 წლიანი აკრედიტაცია მიიღო.
ლალი ოდიშვილმა აღნიშნა რომ ცვლილება არ შეხებია არც კვალიფიკაციას არც ძირითადი სწავლის სფეროს კოპონენტებს, არც კრედიტების გადანაწილებას ანუ ამ კუთხით ცვლილება არ მომხდარა. შესაბამისად არც შედეგები არ შეცლილა.
ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია რაც არის ზუსტად იგივე ხდება თუ არა პროგრამის სახელწოდება?
რასაც ლალი ოდიშვილი დაეთანხმა.

გადაწყვეტილება და კენჭისყრა პროგრამის ზუსტი დასახელებებითსაბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები”

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „ფინანსების“ ინგლის ურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები” (ინგლისურენოვანი)

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის“ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის“ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- მარკეტინგი”

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მარკეტინგის”

ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- მატკეტინგი”

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მენეჯმენტი“ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის„მენეჯმენტი“ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- მეჯემენტი”

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მენეჯმენტი“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის „მენეჯმენტი“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- მენეჯმენტი” (ინგლისურენოვანი)

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი”

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებების ცვლილების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტეტის “საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს “ბიზნესის ადმინისტრირება- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი” (ინგლისურენოვანი)

მეცხრე საკითხი. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	[გადაწყვეტილება N42, 12 ივლისი, 2016 წ.]
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ქალბატონმა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმგდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადეობას. თქვა, რომ ინგლისურენოვანი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა 2016 წლიდან ფუნქცინირებს. რის შედეგადაც მან განიცადა გარკვეული პროგრესი, კერძოდ მოდიფიცირდა პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები, გაძლიერდა ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებაზე ორიენტირებული პრაქტიკული კომპონენტები, აქცენტირდა სასწავლო კურსის ფარგლებში ფორმირებული კომპეტენციებისათვის უმნიშვნელოვანესი თემატიკა. პროგრამა გაძლიერდა ასევე ინტერდისციპლინარული თვალსზრისითაც. გაიზარდა სტუდენის ენობრივი კომპეტენციის სრულყოფის შესაძლებლობა, პროგრამის სასწავლო კურსებში მოხდა საერთაშორისო მასალის ინტეგრირება. ასევე არჩევითი საგნების ბლოკში გაიზარდა პროფესიულ კომპეტენციაზე ორიენტირებული საგნების არჩევის შესაძლებლობა, კურსდამთავრებულებთან დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე პრორამაში მოხდა პედაგოგიური პრაქტიკის ინტეგრაცია. აქვე აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს საინტერესო კონცეფცია, იგი წაროადგენს კულტურისა და ლიტერატურის ეფექტურ სინთეზსს. თქვა რომ პროგამის მიზენები და შედეგები აკმაყოფილბს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აქვე დაამატა რომ სწავლის პროცესი მიმდინარეობს ეფექტურად, რასაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, თანამედროვე ელექტრონული და მატერიალური

რესურსები, კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკა, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს სტუდენტებისთვის. პროგრამა მოიცავს პედაგოგიურ პრაქტიკას და კვლევით კომპონენტებს, რაც ლოგიკურ კავშირშია შრომით შედეგებთან, მაგრამ ექსპეტების მოსაზრებით იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისობა აკრედიიტაციის სტანდარტებთან საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ უფრო მეტი მუშაობა პროგრამის ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით რათა მოხდეს სტუდნტთა მეტი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, ასევე კურსდამთავრებულთა პედაგოგიური პრაქტიკის შესაძლებლობის მიცემა, პროგრამის დაშვების წინაპირობების, პროგრამის სტრუქტურასა და წინაპირობეთან უკეთ სინქრონიზაცია. ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლება შეფასების და ძირითადი ლეიტერატურის განახლება. ამ ყველაფრის მოსაგვარებლად ექსპერტები ფიქრობენ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანსეი ფაქტორს წარმოადგენს აკადემიური და მოწვეული პერსონლალის მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან. შესაბამისად სტანტარტების შესამაბისობამ შემდეგი სახე მიიღო: 1-ლი და მე-2 სტანდარტი მეტ წილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. თქვა, რომ რეკომენდაციების და რჩევების გაზიარება უკვე მიანიშნებს იმაზე თუ რამდენად მისაღები იყო, ის რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა ექსპერტთა მხრიდან. ასევე აღნიშნა, რომ აბსოლიტურად ყველა რჩევა და რეკომენდაცია გაზიარებულია. აქვე დაამატა რომ ესენი გაზიარებულია არა იმიტომ რომ დაწესბულების მხრიდან ეს ტაქტიკური ნაბიჯი იყო, არამედ იმიტომ რომ ყველა რეკომენდაცია მუშაობდა პროგრამის გაუმჯობესებაზე. თქვა რომ ვიზიტი თანამშრომლობის სახელს ინარჩუნებდა რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადა ექსერტთა კორპუსს. ძირითადი რეკომედაციები, რომლებიც ეხებოდა პროგამის განვითარებას, თვითრეფლექსიის პროცესში აღიარებს, რომ უნდა არსებობდეს და დამყარდეს გარკვეული ბალანსი მიმღებ და გასვებულ სტუდენტებს შორის. მაგრამ იმდედან რამდენადაც სტუდენტების აბსოლიტური უმრავლესობა ისედაც ინტერნაციონალიზებულია იმ თვალსაზრისით, რომ უცხო ქვეყნიდან არინ ჩამოსულნი თქვა, რომ ისინი ჯერჯერობით არ აქტიურობენ გაცვლით პროგრამებში მონაწილობის თვალსაზრისით თუმცა პროგრამის განმახორცილებელი პერსონალი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტიც, პროგრამის განვითარების საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ცდილობს სტუდენტები იყვნენ ინფორმირებულნი. აქვე დაამატა რომ ისინი არიან ინფორმირებულნი. ინტერნაციონალისზმის და გაცვლით პროგრამებში შესაძლებლობებზე ტარდება შეხვედრები გაცვლითი პროგრამებით მიღებული ლექტორების მიერ. თქვა რომ ეს პრეზენტაციები საჯაროა და მას ესწრება უკლებლივ ყველა სტუდენტი. უხსნიან ყოველ ჯერზე იმ უპირატესობებს, რომელიც აქვს ცოდნის გაზიარების ფაქტორს მათი პროფესიული სრულყოფისათვის. თქვა, რომ ბარიერი არსებობს თუმცა ბარიერის არებობა მისი აზრით დამოკიდეულია სტუდენტთა ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე ვიდერე იმაზე, რომ დაწესებულება და ჩამოთვლილი ერთეულები ძალისხემვას აკლებენ იმას, რომ გაცვლითი პროგრამით მონაწილეობა მიიღონ სტუდენტებმა გაცვლით პროგრამებში.

მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ენობრივი კომპეტენციის სრულყოფაზე ორიენტირებული ქმედებეს, ერთის მხრივ ეს იყო ალტერნატიული დონის შეთავაზება სტუდენტებისთვის ფიქრობენ, რომ ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთან მზაობას იმ დონისათვის რომლელიც გათვალისწინებულია პროგრამით და თქვა, რომ შედგა სილაბუსები. დაამატა, რომ გაზიარებული რეკომედაციის ყველა დადასტურება წარმოდგენილია, რაც დასკვნაში ასახულია. თქვა, რომ უნივერსიტეტი სკოლა და დეპარტამენტი სრულ მხარდაჭერას უცხადებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში. დაამატა, რომ მათი სტუდენები

მონაწილეობას იღებენ სადაბის მიერ ორგანიზებულ ყველა საერთაშორისო კონფერენციაში და მათი წარდგენილი პრეზენტაციები და სტატიები ახლა უკვე იბეჭდება შესაბამის ჟურნალებში. ბოლოს დაამატა, რომ ყველა რეკომედაციის გაზიარება წარმოადგენს დასტურს იმისა, რომ ეთანხმებიან ყველა რეკომედაციას იმის გათვალისწინებით რომ თვლიან ყველა რეკომედაცია და რჩევა იყო გამიზნული არა პროგრამაში ხარვეზების ძიებაზე არამედ პროგრამის სრულყოფაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა კითხვა ექსპერტს ლიტერატურასთან დაკავშირებით. ლიტერატურა რაც პროგრამაშია წარმოდგენილი, რამდენად უახლესია და რამდენად აძლევს უახლეს ცოდნას სტუდენტებს, რომლებიც ამ პროგრამაზე ირიცხებიან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ ძირითადად ლიტერატურა არის უახლესი და ამ მხრივ პრობლემას ვერ ხედავენ. თქვა რომ რამდენიმე კურსში იყო პრობელმა, რაზეც რეკომენდაცია გასცეს და უნივერსიტეტმაც გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაამატრა, რომ ეს რეკომედაცია არის განათლების ისტორიასა და ფილოსოფიაზე. ასევე ითხოვა განმარტება არის თუ არა სხვა კურსებთან დაკავშირებით უახლესი ლიტერატურა ?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თქვა, რომ ერთი სპეციფიკა აქვს ინგლისურის სწავლებას, რომ არის რაღაც ისეთი კლასიკური ავტორების ლიეტერატურა, რომლიც არ ექვემდებარება დროთა ცვლას. ექსპერტი თვლის რომ ეს დღესაც აქტუალურია და თანამედროვე გამოცებებიც ამ ლიტერატურის რომელიც ერთი შეხედვით ცოტა ადრეულად შეიძლება მოეჩვენოთ არის აბსოლიტურად იგივე. უბრალოდ განსხავბეული წლით თარიღდება და შეტანილია ძალიან მცირე ცვლილება. აქედან გამომდინარე, თვლიან რომ მხოლოდ დასახელებულ ლიტერატურებში იყო საჭრიო ცვლილება.

გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა კითხვა დაწესებულებას. პროგრამის განმახორცილებელ პერსონალს, როგროც მოწვეული ასევე აკადემიური რა ენაზე აქვთ სივების წარმოდენის ვალდებულება.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ორივე ენაზე, როგროც ქართულ ასევე ინგლსურ ენაზე.

გოდერძი ბუჩაშვილმა დამატებით დასვა კითხა სხვა ენებიც ხო არ მოიაზრება?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არა. თქვა რომ მათ შორის ფრანგული ენის სპეციალისტიც კი იგულისხმება, რომ მას აუცილებლად უნდა უდასტურდებოდეს ინგლისური ენის კომპეტენცია. შესაბამისად ისიც სივს ავსებს ქართულად და ინგლისურად.

გოდერძი ბუჩაშვილმა თქვა რომ მან ნახა სივი იტალურ ენაზეც.

ირინა ლობჟანიძემ დასვა კითხვა, პირველი კითხვა ექსპერატთან, რომელიც ეხებოდა TOEFL-ის და IELTS-ის გამოცდებს. რამდენად არის ეს რეკომენდაცია და არა რჩევა რადაგან პროგრამის წინაპირობაში არის წარმოდგენილი ინფორმაცია TOEFL-ის და IELTS-ის გამოცდების ქულების შესახებ. მეორე კითხვა დაუსვა დაწესებულაბას რომელიც ეხებოდა პედაგოგიურ პრაქტიკას. თქვა, რომ მათ სავარაუდოდ განხორცილებეული ექნებოდათ შრომის ბაზრის ანალიზი და ძირითადად კურსდამთავრებული ალაბთ მთავრდება სკოლაში. დასვა კითხვა სკოლაში რეალურად კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება თუ არ აქვს მასწავლებლის მომზადების პროგრამა?

ექსპერტმა უპასუხა პირველ კითხვას, თქვა რომ გამოცდებთან დაკავშირებით რეკომენდაცია განაპირობა იმ ფაქტმა რომ იყო მცირედი უზუსტობა იყო ქულების შესაბამისობას შორის, რაც საშიშროება იყო იმისი რომ არათანაბარ მდგომარეობაში ჩამდგარიყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც IELTS-ის გამოცდა ჩააბაარა და ის ადამიანები, რომლებმაც TOEFL-ის გამოცა ჩააბარეს. იმიტომ რომ განსხვავება იყო მათ შორის 72 ქულა იყო. მინიმუმი არის B2 და უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული 80 ქულა. თქვა რომ 72 სა და 80 შორის საკამოდ დიდი განსხვავება. ამიტომაც ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაყრდნობით გასცეს რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა მეორე შეკითხვას. თქვა, რომ ქართული კანონმდებლობა არ არის ობლიგატორული უცხოელი სტუდენტებისათვის და არ იგულისხემბა, რომ ისინი აუცილბალად ქართულ სკოლებში დასაქმდებიან. რაც შეეხება მათ ქვეყანაში, სრულიად საკმარისია კრედიტების ის რაოდენობა რომლითან გათვალისწინებულია სწავლების კომპეტენციის ჩამოყალიებება. ამიტომ მათ თავიანთ ქვეყანაში ეს პრობლება არ ექნებათ.

გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. თქვა რომ ქალბატონმა ინგამ ბრძანა რომ ის განცხადებას გააკეთებდა არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სავარაუდოდ ის გულისხმობდა არაპედაგოიური პრაქტიკის შესაძლებლობასთან დაკავშირებით და ითხოვა ამ საკითხის დეტალური განმარტება ექსპერტის მიერ.

მეორე საკითხი, რაც ეხობოდა საბაკალავრო ნაშრომებს. თქვა, რომ სამწუხაროდ სავალდებულო არჩევითი კურსები ვერ ნახა საქაღალდეში თუმცა მიესალმება რომ არჩევითობის შემთხევევაში კურსდამთავრებულებს დაცული აქვთ საბაკალავრო ნაშრომები და აინტერესებს თუ ნახა ექპსერტამა ეს ყველაფერი და რამდენად მოდის შესაბამისოაბში იმ მოთხოვნებთან, რომელიც წაყენებეულია საბაკალავრო ნაშრომების მიმართ.

ასევე დასვა დამაზუსტებელი კითხვა დაწესებულებასთან. პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით დასვა კითხვა თუ როგორ მუშაობს თვითინ პრაქტიკის დაცვის მექანიზმი. იმდენად რამდენაც მოცემულია პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსი, ჩვეულებრივ მოცემულია შულადეიური გამოცდა, გამოკითხვა, პრეზენტაცია და ა.შ. თუმცა იქვე ვნახულობთ რომ არის პრაქტიკის დღიური, პრაქტიკის შეფასების კრიტერუმები რაც ძალიან კარგია და მიესლამება. და ითხოვა ამ მექანიზის განმარტება.

თქვა, რომ წლიდან წლამდე სტატისტიკური მონაცემებით მცირდება სტუდენტების რაოდენობა, დასვა კითხვა რა არის ამის მიზეზი.

ასევე დასვა კითხვა ლიტერატურასთან დაკავშირებით, თქვა რომ მას ესმის ენა და ენაში კლასიკური ლიტერატურა და აინტერესებს რამდენად აკმაყოფილებს სხვა დისციპლინებში მოცემული ლიტერატურა იმ მოთხოვვნებს რაც ინგლისურენოვან პროგრამას უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ ზოგიერთი საგნის შემთხევეაში მოცემულია ქართულენოვანი ლიტერატურა, იქვე მითითებულია „ჰენდაუთი“ ინგლისურ ენაზე, თუმცა ეს არ ჩანს, მაგრამ იქვე არის ჩაშლილი ინტეგრირებულად ინგლისურენოვანი ლინკები სადაც იგივე საკითხებზე შეიძლება სტუდენტმა მოიძიოს მასალა. დასვა კითხვა რას ეყრდბიან ამ შემთხევევაში კონკრეტულ სავალდებულო საკიითხს თუ იქვე მოცემულ ლინკებს, რომელიც დამატებული საკითხავის სახით არის მოცეული.

და ბოლოს თქვა, რომ აქვთ არაჩვეულებრივად კარგი გარე შეფასებაა, სადაც საუბარია ყველა დადებით მხარეზე, ასევე ქართული უნივერსიტეტის მხრიდან არსებულ შეფასებაში ერთ-ერთ ძლიერ მხარედ წერია ინტერდისციპლინურობა პროგრამის, თუმცა პირადად ქალბატონ გურანდას დააკლდა საზოგადოების ნაწილი და იგივე უნივერსიტეტები, რომლეთანაც ბენჩ მარკი აქვთ გაკეთებული პროგრამის შედარების თვალსაზრისით უფრო მეტად არის მოცემული ისეთი სასწავლო დისციპლიეები, თუნდაც არჩევითი კურსების სახით, რომელიც უფრო მეტად ემსახურება საზოგადოების შესწავლას. ბრიტანეთის ისტორია, ამერიკის ისტორია მითუმეტეს მაშინ, როცა ენა გამოიყენება როგროც კომუნიკატორი და ითხოვა დაწესებულების მხრიდან ამ საკთხებზე განმარტება.

ექსპერტმა დაიწყო საუბარი პრატიკასთან დაკავშირებით, თქვა რომ უნივერსიტეტემა არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, მათ ივარაუდეს რომ მე-5 რეკოემდაციის საფუძველს წარმოადგენდა პროგრამის აღწერაში მოხსენიებული პროფესიული კომუნიკატორის ტერმინი. რაც ასე არ არის. ექსპერტების მე-5 რეკომენდაციის საფუძველს, რომელიც არ არის არა პედაგოგიური პრაქტიკის ინტეგრირება, პროგრამაში წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ინგლსიური ფილოლოოგის დასაქმების სფერო არ შეიძლება შემოიფარგლოს პედაგოგოიური პრაქტიკით. ამაზე მეტყველებს დარგობრივი მახასიათებელიც, თვითონ პროგრამაშიც პედაგოგიური დასაქმება ერთ-ერთი მიზანია და არა ერთადერთი. თვითონ

პროგრამაშივეა აღნიშნული და ფიგურიებს, რომ ისნინი შეიძლება დასაქმდენენ გამომცემლობებში არასამთავრებრო სტრუქტურებში და ა.შ, სადაც მათ სჭირდებათ არაპედაგოგიური პრაქტიკით გამოცდიელბა. აქედან გამომდინარე ექსპერტების რეკომედაცია იყო შემდეგი: პედაგოგიურუი პრაქტიკის გვერდით, რომელიც რა თქმა უნდა ბაზრის კვლევის გვერდით და კურდამთავრებილთა რეკომედაციების შესგეად იქნა ინტეგრირებული პროგრამაში. ასევე უნდა იყოს შესაძლებლობა არაპედაგოგიური პრაქტიკის გავლისას თუნდაც კურსში ჩაშენებული პრაქტიკის მოდულის სახით.

რაც შეეხება მეორე კითხავს, რომელიც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომებს. თქვა, რომ მათ იხილეს საბაკალავრო ნაშრომები რომელბიც შესრულებეულია შესაბამისი სტილით, რომელიც უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს საერთო რეგულაციით. თქვა, რომ უნივერსიტეტს დეტალურად გასნაზღვრული აქვს საბაკავარო ნაშრომის დაცვის ეტაპები. ასევე გამოყოფილნი არიან პირები, რომლებიც ამას ტექნიკურად აკონტროლებენ. ხელმძღვანელი შინაარსობრივად აკონტროებს, ასევე მოწვეული ექსპერტი ამოწმებს ამ საკითხებს. შესაბამისად ექსპერტები თვლიან, რომ და იხილეს კიდეც შესრულებილი ნაშომები, რომ ისინი შესაბამის დონეზე არის შესრუებული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დაამატა, რომ ინტეგრირებული მასწალებლის პროგრამა არის პროგრამამში არა იმიტომ, რომ ეს არის ბუნებრივი. ერთადერთი კომპეტენცია რომლითაც უნდა იყოს აღჭურვილი ინგლისური ფილოლოგია არამედ ამ კომპეტენციის გარეშე უბრალოდ ადამიანები ვერ დასაქმდებიან სკოლაში. რაც შეეხება სხვა ტიპის პრაქტიკას, საველე პრაქტიკა რომელიც ტექნიკური მიზეზის გამო არ იყო გატანილი პროგრამის მეთოდების ნუსხაში და ახლა იგი უკვე გატანილია მის მოდიფიცირებულ ვერსიაში ინტეგრირებულია, ესეც რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით კომპეტენცია რა თქმა უნდა გულისხმობს საველე პრაქტიკას. ამ თვალსაზრისითაც ბაკალავრები მომზადებულები არიან. თქვა, რომ ბაკალავრის დონეზე ძალიან რთული იყო რომელიმე კონკრეტული კომეტენციისათვის დომინანტური როლის მინიჭება, ანუ პრაქტიკის შინაარსობივი განსაზღვრულობის ამორჩევა, იმიტომ რომ ფილოლოგები განსაკუთრებით ბაკალავრების დასაქმების არეალი ძალიან ფართოა და ამ შემთხევევაში ისინი იძენენ კონკრეტული დასაქმების ადგილისათვის რელევანტურ კომპეტენციებს ამიტომ თვლიან, რომ ბაკალავრიატისთვის სრულიად საკამარისია ის პრაქტიკა, რომელსაც სთავაზობს პროგრამა. ეს გახლავთ საველე და პედაგოგიური პრაქტიკა. რაც შეეხება საზოგადოებას პროგრამაში, პროგრამის კონსტუირებისას პროგრამის განმახორცილებელი პერსონალის მიზანი არის ინტერდისციპლინალიზმი. აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინარიზმი პროგრამაში გაცილებით უფრო გლბალური თვალსაზრისით არის დანახული, ვიდრე რომელიმე ერთი კონკრეტული კულტურის ან საზოგადოები ან რამდენიმე კულტურისა და საზოგადოების ანალოგიზაცია. საზოგადოების კვლევის ტექნიკა, კულტურა რომელიც შეიძლება განსხვავებული მენტალური ფინქციებით ფუნქციონირებდეს უზრუნველყოფილია პროგრამაში ძირითადი კურსებით, როგორიც არის ენა და საზოგადოება, ლიტერატურა და კულტურა ამიტომ ინტერდისციპლინალიზმი ქალბატონი მაისათვის გულისხმობს არა კონკრეტული მონაცემების ანალოგიზაციას ნებისმიერი საზოგადოების ან კულტურის არამედ თავად საზოგადოებისა და კულტურის ფენომენის ხედვას. თქვა, რომ ეს ხედვა სრულიად საკმარისი რაოდენობის მასალით და შინაარსით არის გამყარებული პროგრამაში. რაც შეეხება სილაბუსში ქართული მასალის არსებობას თქვა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო, რაც გასწორებულია.

რაც შეეხება პროგრამაზე კურსდამთავრებულთა კლების ტენდენციას, თქვა რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს მაგრამ არ ჰგონია, რომ ძალიან დიდი იყოს. თქვა, რომ სტუდენებს უბრალოდ ექმნებათ ტქნიკური პრობლემები ვიზასთან დაკაშირებით, ამიტომ სტატუსის შეჩერება განპირობებეულია არა რაიმე სხვა მიეზით, არამედ ტექნიკური მიზეზით რომელიც იმედია აღმოფხვრება. დაამატა, რომ რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა ნამდვილად არ იკლებს პროგრამაზე. თუმა ეთანხმება, რომ გარკვეული ტექნიკური მიზეზბის გამო ყველა მადგანი ვერ ახერხებს ჩამოსვლას.

არჩილ ჯანგირაშვილმა დაამტა, რომ სხვა უნივერსიტეტებსაც ექნებათ ეს გამოცდილება, რაც არის საერთო პრობლემა და შესაბამისად აქედან გამომდინარე შეეძლება ერთ-ერთ ფაქტორად ესეც განიხილონ. რაც არის ვიზებთან დაკავშირებული პრობლემა.
თქვა, რომ საქართველოს მოქალე სტუდენტების შემთხვევაში არსებობს ქართულენოვანი პროგრამა, თვითონ ბაზაზე სთავაზობენ ორივე პროგრამას შესაბამისად დიდ წილად ქართველების მხრიდან არის მოთხოვნა ინგლისურენოვან პროგრამაზე. დაამტა, რომ იქ საკამოდ მაღალი ბარიერი აქვთ აწეული ინგლისური ენის, აქმადე კი ესეთი მოთხოვნა არ იყო.
დავით ჩოჩიშვილი მიესლამა დამსწრე საზოგადოებას, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა როგროც ინსტიტუციასთან ასევე ექსპერტთან. თქვა, რომ მითითებულია პედაგოდიური პრაქტიკა არის ყოველგვარი წინაირობა და კურსისი დასრულების შემდეგ სტუდენტის უნარებში მითითებულია შემდეგი: ''ახორცილებს, გეგმავს და ატარებს გაკვეთილს, ქმნის სილაბუსებს, აფასებს სკოლოლის სასწავლო სააღმზრდელო გარემოს, მონაწილეობს სასკოლო განათლების ხარისხის პროფესიული ანალიზის პროცესში და ა.შ თქვა, რომ ამ პროგრამაზე არიან როგროც უცხოელები ასევე ქართველი სტუდენტები. როგორ მიაჩნიათ ყოველგვარი ლიტერატურის გაცნობის გარეშე სტუდენტმა შეძლოს ამ უნარების ათვისება.
რაზეც დაწესებულების წარმოამდგენელმა რევაზ ტაბატაძემ უპასუხა. თქვა, რომ სანამ სტუდენტი აიღებს პედაგოგიურ პრაქტიკას, მან უნდა გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული პროგრამის ძირითადი საგნები. ეს გახლავთ ხარისხის მართვა სკოლაში, სწავლების მეთოდები, კონკრეტული საგნების სწავლის მეთოდები, ინკლუზიური განათლება და ა.შ აქვე აღნიშნა, რომ პროგრამა რომელსაც სთავაზობს საქართველოს უნივერსიტეტი არის myug და ეს ავტომატურად ბლოკავს ყველა იმ სტუდენტს, რომელსაც სურვილი აქვს აიღოს პედაგოგიური პრატიკა. თუ მას არ აქვს გავლილი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა. ეს გულისხომბს იმას, რომ პირობიდათ სტუდენტს რომ სურდეს პირველი კურსისი პირველ სემესტრში აიღოს პედაგოგიური პრაქტიკა ის ამას ვერ მოხერხებს იქიდან გამოდინარე, რომ მას არ ექნება პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გარკვეული რაოდენობა დაგროვებული და შესაბამისად პროგრამა მას ამის უფლებას არ მისცემს. რაც შეეხება ლიტერეატურის ნაწილს, ეს იმიტომ არ არის გაწერილი არსებულ პედაგოგიურ პრაქტიკაში რომ ყველა ის საჭირო კომპეტენცია რომელიც სტუდენტს უნდა ჰქოდეს ამ პერიოდისათვის, მას უკვე გავლილი აქვს ყველა ის ძირითადი კურსისი ფარგლრბში, რაც უკვე ჩამოთვალა. ინგლისური ენის სწავლების მეთოდების გავლის შემდეგ სატუდენტს ეძლევა საშუალება დააგროვოს კრედიტების ის რაოდენობა, რომლის მეშვეობითაც ის უკვე დარეგისტრირდება პედაგოგიურ პრაქტიკაზე.
თქვა, რომ მათ განსხვავება ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის არ აქვთ, იმიტომ რომ ისინი სწავლობენ ერთი და იგივე პროგრამას. ქართველი სტუდენტი ჩაირიცხება ერიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, ხოლო უცხოელი სტუდენტი მინისტრის ბრძანების შესაბამისად. ორივე კატეგორიის სტუდენტი გადის ერთი და იგივე პროგრამას.
ექსპერტმა დაამატა წინაპირიბეთან დაკავშირებით, თქვა რომ წინაპიროებები პედაგოგოიური პრაქტიკასთან დაკავშირებით დიდი ხანი ჰქონდათ მსჯეობა, უნივერსიტემა წარმოადგინა სხვა სილაბუსი და იყო ტექნიკუი ხარვეზი.
გურანდა ჭელიძემ დააზუსტა საკითხი კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით, როგორც ქალბატონმა მაიამ თქვა უცხოელეი სტუდენტები საქმდებიან თავისივე ქვეყანაში და იქ არ მოეთხოვებათ მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლა. რა ხდება მაშინ პროგრამის იმ კურსდამთავრებულებთან მიმართებაში, რომელბიც საქართველოს მოქალაქეები არიან, და რომლებიც შემდეგ უნდა დასაქმდენენ ქართულ ზოგანმანათლებლო სკოლებში. თქვა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითხოვს მასწავლებელთა მომზადების პროგრამის გავლას. დასვა კითხვა არის თუ არა პროგრამაში ამის შესახებ მითითება და თუ არ არის როგრო უზრუნველყოფენ სკოლებში დასაქმებას.
რაზეც დაწესებულების წარმომადგენლემა უპასუხა, თქვა რომ ბუნებრივია საქართველოს აქვს კანონმდებლობის შესაბამისად, ევალებათ მასწავლებლის პროგრამის გავლა, თქვა რომ

საგანმანათლებლო პროგრამის ბენჩმარქინგში და ბაზრის კვლევეაშიც არსად არ არის მითითებული, რომ ეს არის დასაქმების სფერო. საქართველოში კი დაკომპლექტებულია ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრებით. თუმცა ეს კომპეტენცია მათი აუცილებელი კომპეტენცია არ არის. ასევე არ არის აუცილებელი კომპეტენცია ინგლისელი ფილოლოგისათვის გახდეს მასწავლებელი. თქვა რომ ამ პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი ინტეგრირებულია პროგრმაში, მაგრამ ეს მათ არ აძევეთ ისმის უფლებას, რომ კანონმდებლობა არ დაექვემდებაროს. თქვა, რომ შესაძლებლობა არ არის გარანტია რომელსაც პროგრამა აძლევს სტუდენტს.

არჩილ ჯანგირაშვილმა დაამტა, რომ პროგრამის მთავრი ფუნქცია არ არის პრატიკის დონეზე შეიყვანოს, პედაოგად სკოლაში. პროგრამის მთავარი ფნქცია არის პრქტიკა გაატაროს ადამიანს იმისათვის, რომ სამაომავლო პედაგოგობას თუ გადწყვეტს, ჯერ თეორუიული საკითხები იცოდეს და შემდეგ უკვე პრაქტიკული თალსაზრისით. შემდეგ ეტაპზე ადამიანი იღებს ბაკალავრის დიპლომს თქვა, რომ ეს არის რეგულრებადი პროფესია როგორიც არის სამართალი, მედიცინა და სხვა მრავალი. რეგულირებადი პროფესია გულისხმობს, რომ მან უნდა ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა, გამოცდის შემდეგ უნდა გაიაროს შესაბამისი პროგრამა, პროგრამის შემდედ უკვე დაადასტურებელი ეტაპი უდა გაიაროს. აქდან გამომდინარე ბატონი არჩილის აზრით თვთონ კანონმდებლობას აქვს გამიჯნული როგროც ბაკალავრიატის საფეხურის დონეზე ასევე როგროც უკვე ჩამოყალიბებული პედაგოგი. ამ პროგრამის მთავარი მიზანი არ არის მხოლო პედაგოგის გაზრდა, აქვე დაამატა რომ ეს პროგრამა მხოლოდ პედაგოგოს ვერ გაზრდის რადგან მხოლოდ პედაგოგად, რომ გაიზარდოს ამისათვის კიდევ სხვა დმატებითი საკითხები სჭირდება.

თამარ სირაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ ამ პროგრამის ანუ ინგლისური ფილოლოგიის სწავლის შედეგები ითხოვს ძირითადად ორ მიმართულებას ლინგვისტიკური და ლიტერატურათმცოდნეობის უნარების განვითრებას, რადგანაც საუბრობენ პედაგოგიურ განათლებაზე. 42 კრედიტი განათლების საგნების მიმართულებისა, რომელიც ფაქტრობრივად უტოლდება ლიტერატურათ მცოდნეობის და ენის დაუფლების კრედიტებს. აქედან გამომდინარე უჩნდება შეკითხვა თუ დაწესებულება ამბობს, რომ არ არის ძირითადი პედაგოგიური პრაქტიკა მაშინ რატომ არის ამდენი კრედიტი და ყურადღება დათმობილი, თან სავალდებულო მოთხოვნა არის სტუდენტმა ისწავლოს როგროც განათლების მიმართულების საგანი ასევე ლიტერატურთმცოდნეობის საგანი ასევე ლინგვისტიკის ქათველ სტუდენტთთა მიმართებით ხო არ გამოწვევს ეს გაორებას. თუ მან უნდა გაიაროს 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, იქაც ფაქტობრივად მეორდება ეს საგნები. დასვა კითხვა, რატომ ხდიან სავალდებულოს განათლების მიმართულების საგნებს და ხომ არ შეიძლებდა ესენი არჩევითში ყოფილიყო?

არჩილ ჯანგირაშვილმა თქვა, რომ ამ კითხვაზე პასუხი ძალიან კარგად არის გაცემული თვითონ კვალიფიკაციის ჩარჩოდან გამომდინარე. აღნიშნა, რომ თვითონ კვაიფიკაციის ქუდი, რომელიც ამ სფეროს ქვეშ არის მოქცეული ამბობს, რომ აქ არ ისწავლება მარტო უცხო ენის საკითხი აქ მოცემიული უნდა იყო ის რაც, თავში ექსპერტმაც აღნიშნა. ეს არის კულტურის ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ზოგადად წარმოდგენის თვალსაზრისით სფერო საზოგადოებრივი საკითხის წარმოგენითი უნარები, რომ გაეზარდა ენის გარშემო. აქედან გამომდინარე დაწესებულებამ შეიტანა ისეთი სავალდებულო კურსების, რაოდენობა რომელიც მიმართული არ არის მხოლოდ და მხოლოდ ენის დაუფლებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ როდესაც პროგრამის შექმნის პროცესი დაიწყო დაწესებულება ყველაზე მეტად დაეყრდნო იმ აგენტების კვლევას, რომლებმაც ჩაატარეს კვლევა იმ ქვეყნებში, სადაც პოტენციურად ელოდნენ სტუდენტებს. თქვა, რომ ყველაზე დიდი სურვული სტუდენტებისა იყო მასწავლებლობა. თქვა, რომ სწორედ ამან გამოიწვია ამ საგნების ინტეგრირება. ზოგადად ფილოლოგიას თუ შეხედევევ, როგროც ერთ დიდ სიმრავლეს, თქვა რომ ცალკე ლინგვისტიკაც ფილოლოგიაა, ცალკე ლიტერატურაც ფილოლოგიაა, შეიძლება ცალკე სწავლებაც ფილოლოგია იყოს, მაგრამ სინთეზი ამ სამი მიმართულების განაპირობა

ძალინ მარტივმა მიზეზმა. აგენტებმა ჩამოიტანეს კვლევის შედეგები, რომლითაც უცხოელი სტუდენტები რომლებზე არის გათვლილი პროგრმა, იმიტომ რომ ქართველებს აქვთ შესაძლებლობა ქართულენოვანი ინგლისური პროგრმითაც ისწავლონ. რაც უცხოელებზეა გათვლილი მათი პრიორიტეტი იყო მასწავლებლად დასაქმება.

თამარ სირაძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, რომელი ქვეყნიდან არიან უცხოელი სტუდენტები ძირითადად და რა პროპორცია ქართველ და უცხოლე სტუდენტს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქართველს აქვს არჩევანის უფლება ქართულენვან ფილოლოგიას და ინგლისურენოვან ფილოგოგიას შორის. თქვა, რომ 95% არის უცხოელი მაგრამ ჰყავთ სრულიად ფანტასტიური 5% ქართველი სტუდეტები, რაგან პროგრამა შექმნილია უცხოლებისათვის. უხოელი სტუდენტები არიან სამხრეთ აფრიკიდან, ნიგერიიდან, ერაყიდან, ირანიდან და კორეიდან. აქ მიღებული დიპლომი სკამარისია იმისათვის, რომ თავიანთ ქვეყანაში იმუშოან.

ექსპერტმა დააამატა, რომ მათ ჰქონდათ ჩარვა უცხოელ კურსდამთავრებულებთან და ასევე სტუდენტთან, რომელმაც ეს ფაქტი დაადასტურა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11 სთ
დასრულების დრო: 15:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- განხორციელდეს ეფექტური ქმედებები ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
- განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები პროგრამის თოთოეული შედეგისთვის და პროგრამის შედეგების რუკაში აისახოს მიმართება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის.

- რეკომენდებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებში განახლდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურა.
- რეკომენდურებულია, პრაქტიკის სასწავლო კურსს განესაზღვროს დაშვების წინაპირობა.
- პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამაზე დაშვების სამართლიანობის უზრუნველაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან სინქრონიზაცია, ასევე, პროგრამის წინაპირობებში ზუსტად განისაზღვროს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება.
- რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას პედაგოგიური პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელზე/ხელმძღვანელებზე.
- განხორციელდეს სასწავლო კურსების - ,,პროფესიული კომუნიკაცია'' და ,,პედაგოგიური პრაქტიკა'' სილაბუსების შეფასების მეთოდების კურსის შინაარსსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების ქმედითუნარიანობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, ხარისხის სამსახურთან და პროგრამის განვითარების ჯგუფთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინირებულ საქმიანობას.

მეათე საკითხი. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფოსასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი #831944, 22.07.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი / Bachelor of Law
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2100 ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. #14
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი მიესალმა დამსწრე საზგადოებას, თქვა რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან მიართებით 9 რეკომენდაცია, რომელთა მიმართებითაც დაწესებულებაში მათ შორის დაიგეგმა ე.წ. არაგეგმიური მონიტორინგი. მონიტორიგნგის ფარგლებში დაწესებილებაში არ განხორცილებულა უშუალო ვიზიტი. მონიტორინგი შესრულდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტების საექსპერტო ჯგუფუს მხრიდან შესწავლის საფუძველზე. თქვა, რომ არაგეგმიური მონიტორინგი ითვალისწინებს აკრედიტაციის კონკრეტული სტანდარტების სავადებული შემოწმებას. შესაბამისად შემოწმებულ სტანდარტებში მათ შორის გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით გაანალიზდა მთლიანი პროგრამა. შესაბამისად პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაშია . მათ შორის გათვალისწინებულია ის რეკომედაციები რომელიც თავის დროზე აკრედიტაციის საბჭომ გასცა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკოენდაციების საფუძველზე. თუმცა მოცემული 9 რეკოენდაციიდან წინამდებარე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დასკვნისას, ჩათვალა საექსპერტო ჯგუფმა ორი რეკომენდაციის გაცემა დატოვების აუცილებლობა, რომელიც ერთი გამომდინარეობს მეორედან.
თქვა, რომ წინა შემთხეევევაში აკრედიტაციის დროს დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემიულ იქნა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით რეკომედაცია. ეს რეკომენდაცია ეხებოდა შემდეგს. კონკრეტული განმანმტკიცებებლი სასწავლო კურესების კონკრეტული დავალებები განისაზღროს, პროგრამის სწავლის კონკრეტული შედეგის შეფასების მიზნით. პირველ შემთხეევევაში დაწესებულას ჰქონდა წარმოდგენილი ე.წ. დასკვნითი გამოცდით სასწავლო კურსის შეფასება და ამ ფორმით უკვე შეფასდა პროგრამის სწავლის შედეგი. დაამატა, რომ ეს ნაწილი ანალოგიურად არის დატოვებული რამდენიმე სასწავლო კურსთან მიმართებით. სწორედ ამან განაპირობა პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმთან მიმართებით რეკომენდაციის დატოვება. აქედან გამომდინარე მეორე რეკომენდაცია ლოგიკურად უკაშირდება წინა რეკომენდაციას. რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა, რომ გადაიხედოს. დაამატა რომ ორი ერთში რეკომედაციაა. სხვა დანარჩენი რეკომედაციები კი პრაქტიკულად შესრულებლია. არსებულ რეკომენდაციებთან მიმართებით დაწესებულაბას მექანიზმები შესრულებული აქვს წინასგან განსხვავებით. ანუ ქმედითი ნაბიჯები არსებულად გადადგმულ აქვს.

გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა კითხვა, კონკრეტულ დავალებების შედეგებთან განსაზღვრასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა თქვა, რომ აკრედიტაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. 1.3 სტანდარტად გამოიყო. რაც მნიშვნელოვან სირთულეს შექმნის სამართლსი პროგრამებთან მიმართებით, თქვა რომ მანამდე იყო 1.2 ქვესტანდარტში ინტეგრირებული, რაც აძლევდა საშუალებას. 1.2 ქვესტანდარტში შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგები. იქვე იყო შეფასების მექანიზმი ამიტომ პროგრამის სწავლის შედეგები თუ დარგობრივს შეესაბამებოდა მეტ-ნაკლებად იქ ერთი რეკომენდაცია მექანიზმთან მიმართებით, რომც გაცემულიყო მთლიანი ქვესდანდარტი არსებით შესაფსებაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამ შემთხეევევაში პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი ცალკე არის 1.3 ქვესტანდარტად გამოყოფილი. რაც სწორდად თუ არ იქნება გაწერილი პირველ სტანდარტს შეუქმნის პრობლემას. თქვა, რომ ესეთი პრაქტიკა უმრავლეს პროგრამაში, იწვევს პრობლემას პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმთან. დაამატა, რომ არსებობს სახელმძღვანელო რომელიც სარეკომენდაციოა და ამ სარეკომენდაციოში ცალსახად ნახსენებია, რომ დასკვნითი გამოცდა კიდევ ბევრ უნარს და ცოდნას ამოწმებს, ვიდრე კონკრეტულ სასწავლო კურსში მოცემული ერთი დავალება შეიძლება იყოს, რომლის წარმატებით ჩაბარება ან ჩაუბარებლობა გვიფასებს და ზომავს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა-მიუღწევადობას.
თქვა რომ ახალი აკრედიტაციის სტანდარტი, რომელიც 2018 წლეს იქნა მიღებული სარეკომენდაციოდ მოითხვდა პროგრამის სწავლის შედეგების ანგარიშსს, იმ აკრედიტაციის დროს არ იყო ეს სტანდარტი და ბუნებრივია არავის არ ექნებოდა. ხელახალი აკრედიტაციის სტანდარტი, რომ დაინერგება ეს პრაქტიკა უკვე ექნებათ. თუ რამდენად განახორციელა ამა თუ იმ პროგრამამ მსგავსი მექანიზმის გამოყენება.
ბოლოს აღნიშნა, რომ არსებითად მნიშვნელოვნია განმამტკიცებელ სასწავლო კურსებში, ავიღოთ ის კონკრეტული დავალებები, რომლითაც გაიზომება და შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგი. ფორმალურად შეიძლება ხარისხის შიდა მექანიზმების დონეზე მოხდეს გაანალიზება არჩევითმა კურსმა რა დონეზე განავითარა, მაგრამ პროგრამის სწავლის შედეგს ბუნებრივია აჩევითი სასწავლო კურსით ვერ შეაფასებენ. მაგალითად, საჯარო, სისხლის და კერძო მიმართულებით არსებობს პრაქტიკული კურსები, შესაბამისად ამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გაწერილია ''რომელსაც არ უნდა იღებდეს სტუდენტი, ფასდება კონკრეტული პრაქტიკული უნარის გამომუშავება''. თუ სტუდენტმა აიღო სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი, ის ვერანაირად დადასტურდება კერძო სამართლის პრაქტიკული ცოდნა-უნარი, ამიტომ ეს მოდელირებული ვარიაციები ნებისმიერ შემთხვევაში შიდა საუნივერსიტეტო დონეზა დასალაგებელი. მაგრამ პრინციპია მარტივი, რომ არჩევითი სასწავლო კურსები ინტეგრირებულად უნდა კვეთთდეს ერთმანეთს , რომ ნებისმიერის არჩევის შემთხვევეაში ერთიდაიგივე შედეგეზე გადიოდეს. რაც რეგულირებადი პროფეესის შემთხევეში თოერიულადაც კი წარმოუდგენელია არა თუ პრაქტიულად . შესაბმისად ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამის პრაქტიკა არც-ერთ დაწესბულებაში არ უნახავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესლამა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ აღნიშნული რეომენდაციებიდან გამომდინარე პროგრამა გადის რეაკრედიტაციას, შესაბამისად წლების განმავლობასში ეს პროგრამა ხორცილედებოდა უნივერსიტეტში. აქედან გამომიდინარე მათ დახვეწეს სასწავლო კურსების, ლიტერატურის, შეფასების მეთოდების, სიტემის მიხედვით და შესაბაისად წარადგინეს რეაკრედიტაციაზე. თქვა რომ ამის ვალდებულება არ ჰოდანდ უბრალოდ უნდოდად დაეხვეწათ ეს ყველაფერი.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესლამა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართულია ჯერ კიდევ 2016 წლიდან. ამ პროგრამის დაფუძვნებიდან არის აკადემიური საბჭოს წევრი უნივერსიტეტში. აქვე აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების ყველა ეტაპზე არის აქტიურად

ჩართული. მათი ზოგადი პოზიციითაც გამომდიარე, ცდილობენ, რომ ყველა რეკომედაცია, რომელიც შესაძლებელია რომ იქნეს გათვალისწინებული გაითვალისწინონ, რადგან უნივერსიტეტი ამას ხედავს როგროც განმავითარებელ შეფასებას. სწორედ ამიტომ რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო გაითვალისწინეს. დაამატა, რომ ნება არის დიდი იმისა, რომ მაქსიმალურად მოერგონ ექსპერტების რეკომენდაციებს, თუმცა ვერ ამოხსნს როგორ შეიძლებოდა მორგებოდნენ, რომ დაკმაყოფილებულიყო რეკომენდაცია.
მაგალითად ერთი კითხა იყო ვის მიერ. რაზეც პასუხი იყო ლექტორის მიერ, რაზეც ფიქრობს რომ ამის გაწერა საჭირო არ იყო.
ასევე კითხვა იყო რა მეთოდით იუნდა იყოს. რეკომენდაციაც შეეხებოდა ამას. თქვა, რომ თითოეულ სილაბუსში გაწერილი არის რა მეთოდებით იქნება ეს განხორცილებული. იქნება ეს კაზუსის ამოხსნა თუ სხვა. ასევე ჩაშლილია კაზუსის ამოხსნისას ერთ ქულას, როგორ მიიღებს ორს და ა.შ.
დასვა კითხა 70 სილაბუსიდან ეს ყველაფერი უნდა ამოიღონ და უნდა გაწერონ ?
თქვა, რომ სწავლება და სალექციო პროცესი არის შემოქმედებითი პროცესი და ეს არ არის მხოლოდ ტექნიკურ რეგლამენდამტე დასული. რომ წინასწარ დავწეროთ თუ რა შეიძლება გავაკეთოთ რამდენიმე წლის მერე. მაგალითად საერთაშორისო სამართლაში ადრე თუ არ უფიქრიათ კაზუსების ამოხსნაზე, როგროც ვხედავთ ახლა უკრაინის ომი არის და შეიძლება ასე გაშალონ. აქვე დაამატა, რომ ლექციაც შემოქმედებთი პროცესია და შეუძლებელია გაწერონ რუქაში თითოეუი მეთოდი, რაც უკვე წერია სილაბუსში. იმ შემთხეევევაში თუ პოროგრამიდან არ იკითხება ეს მეთოდები მაშინ რეკომდაციაც მისაღები იქნებოდა. დასვა რიტორიკულული შეკითხვა, რას ემსახურება ეს რეკომენდაცია?! იმისთვით რომ პროგრამა გამჭირვალე იყოს და სტუდენტმა ნახოს, თქვა რომ სტუდენტი ამ რუკას არ ნახავს იმიტიომ რომ ესქსპერტისთვის არის განკუთვვნილი. ექსპერტს კი შეუძლია სილაბუსში ჩაიხედოს. თქვა, რომ ყველა უნივერსიტეტში მოიკითხეს სადაც კი სამართლის პროგრამა ფუნქციონიერებს, ასევე კონსტულაცტია გაიარეს ცენტრთან რაზეც ბატონმა ლამაშამ თქვა , რომ სარეკომედაციო ხასიათის იყო. ანა ფირცხალაშვილი ფიქრობს, რომ ეს გემოვნების საკითხია და ის რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია მოერგოს ყველა რეკომენდაიცას, ამაზე უკეთ ეს შეუძლებელი იყო. და ვერც სხვა უნივერსიტეტებათან იპოვეს, რომ ნიმუში აეღოთ.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ შეფასების მეთოდები შეეესატყვისება თითოეული სასწავლო კურსისი სფეციფიკას და გაწერილია, როგორც პროგრამაში ასევე თითოეულ სილაბუში და მოცემულია ასევე სწავლის შედეგების შეფასების სწავლის შედეგებში. რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საჯაროობას როგორც სტუდენტისთვის ასევე ექსპერტისთის. გარდა ამისა გამოყენებულია აპრობირებული მეთოდები, რაც ზოგადად გამოიყენება სამართლის სწავლების დროს. თქვა რომ გააეცნენ სხვა უნივერსიტტების სამართლის საბაკალავრო პროგრამებს უკეთესი ან განსხვავებული ვერ ნახეს, რომ მოეხდინათ ადაფტირება და იპელემენტაცია პროგრამაში.
ქეთავან ლატარია , მიესლმა დამსწრე საზოგადოებას თქვა, რომ წარმოდგენილი შეფასების გეგმაში ფორმულირებულია დასკვნითი შეფასება, რომელიც აღქმულია როგორც საბოლოო შეფასება კონკრეტულად ეს გულისხმობს კლინიკურ სწავლების ანგარიშს მის პრეზენტაციას სასწავლო პრაქტიკის აღწერას, რაც თავისთავად არის კონკრეტული დავალება. უბრალოდ ფორმულირება არის გაკეთებუი დასკვნითი შეფასება. სინამდვილეში თუ ჩავუღრმავდებით მას გულისხმობს კონკრეტულ დავალებას. ამიტომ წარმოდეგენილს სწავლის შედეგბის გეგემაში სწორედ განმამტკიცებელი კურსებით ხდება სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასება, განმამტკიცებელი კურსების კონკეტული დავალებებით რაც ექსპერტების მიერ იყო შემოთავაზებული.
დაწესებულების წარმომადგენემა ასევე ისაუბრა არჩევით სასწავლო კურსებზე. თქვა, რომ არსებობს რამდენიმე არჩევითი სასწავლო კურსი კერძო საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულებით, ამ საჯარო არჩევითი კურსების მეშვეობით არ ხდება და ვერც მოხდება ბაკალავრების სპეციალიზაცია, უბრალოდ ეს მორგებულია მათ ინტერესზე, კერძოდ

ინდივიდულაური პროფილის ფორმირებისთვის არის. აქვე ხაზი გაუსვა ერთ გარემოებას, რომ ეს არჩევითი სასწავლო კურსები კი არის, მაგრამ საერთო ჯამში სტუდენტი მაინც სავალდებულო წესით ირჩევს ამ საწავლო კურსებს. კომპონენტი , რომელიც შეიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს მაგალითად საჯარო სამართლის მიმართულებით მოიცავს 48 კრედიტს , აქედან არჩევითია 36 კრედიტი, მაგრამ გამოდის რომ ეს 36 კრედიტი სტუდენტმა მაინც უნდა აირჩიოს შესაბამისად დაწესებულებამ ჩათვალა აუცილებალად და მიზანშეწონილად, რომ სწავლის შედეგებში ეს სასწავლო კურსებიც შეეტანათ. გამოდის რომ სტუდენტს მაინც უწევს არჩევანი, არჩევანი არის ან საჯარო, ან კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ეკატერინე შაკიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა არჩევით კურსებთან და სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით. თქვა რომ გასაგებია სუდენტს აქვს ვალდებულება რომელიმე მიმართულების საჯარო, კერძო ან სისხლის მიართულებიადან შეარჩიოს სასწავლო კურსები და დააგროვოს გარკვეული კრედიტები მაგრამ, მისი აზრით ექსპერტების შენისვნა სხვა მიმართულებით იყო. თუ სტუდენტმა აირჩია სისხლის სამათლის მიმართულება, პროგრამის ფარგლებში გაწერილი სწავლის შედეგები როგორ არის ფორმულირებული ? ერთი და იგივე შედეგეზე გაიყვანს სტუდენტს ერთი, მეორე ან მესამე მიმართულება ? თუ სტუდენტამა სისხლის სამართლის მიმართულება არ აირჩია და კერძო სამართლის მიმართულება აირჩია ამ შემთხვევევში სწავლის შედეგი თუა ფორმურირებული რომ კერძო სამართლის ბლოკის კურსებმა გაიყვანოს სტუდენტი იგივე სწავლის შედეგზე.

ასევე დასვა მეორე შეკითხვა სწავლის შედეგების ფორმულირებას და შეფასებასაც თავისი მიდგომა აქვს. სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტების შენიშვნა როგრო შეიძლება გავიგოთ? შეფასების შემთხვევაში თუ კი ეჭვის ქვეშ დგება რომელიმე კომპეტენციის დადასტურება აქ საქმე გავქვს სწავლის შედეგის ფორმულირებასთან თუ მეთოდების რელევანტურობის საკითხია?

თუ წერილობითი დასკვნითი გამოცდა იქნება პრაქტიკული უნარების შეფასების გზა რამდენად რეალისტური და რამდენად შესაძლებელია იქნება სწორად შეგვაფასებინოს კონკრეტული უნარი.

დაწესებულების წარომადგენელმა ისაუბრა სწავლის შედეგებთან და სავალდებულო და არჩევით კურსთან დაკავშირებით. თქვა, რომ არსებული პროგრამის და მისი შინაარსისი მიხედვით სტუდენტი გადის იმ სწავლის შედეგებზე, რაც აუცილებელია ბაკალავრისთვის რომ მიენიჭოს შესაბამისი კვლაიფიკაცია. კერძოს სავალდებულო სასაწავლო კურსების მეშვობით. რაც შეეხება კონცენტრაციებს, კონცენტრაციების ბმა სწავლის შეგებთან მიმართებით შემდეგნაირად არის გააზრებული, თუ სტუდენტი აირჩევს რომელიმე მიმართულებას აღნიშნავს, რომ სპეციალიზირდება ერთ მიმართულებაში და სხვა მიმართლებეი არ იცი, ასე არ ხდება რადგან არის სავალდებულო ბლოკი კერძო, საჯარო და სისხლის მიმართულებით. მას თუ ეს საჯარო კურსები წარმატებულად აქვს დაძლეული შეესაბამისად მას ეს ცოდნა გააჩნია. და მას შეიძლება მიენიჭოს ბაკალავრის კვალიფიკაცია. რაც შეეხება სტუდენტის ინტერესს და ინდივიდუალურუ პროფილის ფორმირებას. ამის გათვალისწინებით გაითვალისწინეს და ცადეს ეს სასწავლო კურსები. მაგრამ ეს არჩევითი სასწავლო კურსები ნაწილობრივ მაინც სავალდებულოა .

ეკატერინე შაკიაშვილმა თქვა რომ დამატებითი კურსებით გასაგები, რომ სტუდენტი იძენს დამატებით კომპეტენიცას, მაგრამ შედეგი რგორო არის ფომულირებული? ექსპერტებს ხო არ ჰქონდათ განცდა რომ შედეგი ისე არის ფორმულირებული რომ თითქოს დამატებითი კომპეტენციაც შესაფასებელია და თითოეული მოდულის შესაბამისად შესაძლებლობა ექნება მხოლოდ ერთი მიმართულებით შეაფასოს დამატებითი კომპეტენცია.

ამ კითხვას ანა ფირცხალაშვილმა უპასუხა, თქვა რომ საჯარო სამართლის პრაქტიული კურსი, კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი, საკონსტუციო ან სისხლი სამართლის პრაქტიკული

კურსი. ამ ოთხიდან ხდება არჩევა. ამ ყველაფრის უნარი კი სტუუდენტს შეუძლია ნებისმიერიდან შეიძინოს. სავალდებულო კურსებში კი სტუდენტს ნასწავლი აქვს თითოეული პროცესი. პრაქტილუკ კურსებში, კი საუბარია პრაქტიკულ უნარებზე გამოვიდეს პროესებზე და ა.შ. თუ კი სტუდენტმა აიჩია საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი და არ არიჩია კერძო სასმართლის კურსი ამ შემთხევევაში ის პრაქტიკულ უნარს განა ვერ შეიძენს, მაინც შეიძენს უბრალოდ იქ კონცენტრაციის მოდულზეა საუბარი, ანუ რომლის მიხედვით ურჩევნია ეს პრაქტიკული უნარი შეეიძინოს. ასეთ , შემთევეაში ასეთი შეთავაზებით არცერთი სტუდენტი არ დარჩება პრაქტიკული უნარ-ჩვევბის გარეშე.

ქეთევან ლატარიამ თქვა, რომ განმამტკიცებელ სასწავლო კურსებში დასკვნით გამოცდაში წერილობთი გამოცდა არ იგულისხმება. აქ არის კლინიკური სწავლების ანგარიში, სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება და აქ არის კაზუსების ამოხსნა. უბრალოს ამას აქვს ერთი ქუდი და ჰქვია დასკვნითი შეფასება. შეიგნით კი ეს მოიცვს პრაქტიკულ დავალებებს. რაც წარმოდგენილია სილაბისებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:01 სთ
დასრულების დრო: 16:07 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეთერთმეტე საკითხი -სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი) / Physical Education and Sport (Coach)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22.05.2020 N 402809
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სპორტის მაგისტრი / Master of Sports
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1014 სპორტი / Sports
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზირი 49, ქ.თბილისი, 0162, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ხათუნა საგანელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადეობას, შესავლის სახით თქვა, რომ დაწესებულაბამ გადაწყვიტა პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში გადაეყვანათ, ერთ-ერთი არგუმენტი იყო სტუდეტების სიმწირე, რომლებიც ირჩევდენე ამ პროგრამას იყო ძალიან ცოტა. თქვა რომ პროგრამა გადამუშავდა დაიხვეწა და ახლა არის განსახილველად მოცემული. აღნიშნა, რომ ექსპერტმა ჯგუფმა იმუშავა ამ პროგრამაზე და წარმოადგინა რეკომენდაციები. თქვა რომ გაიცა 6 რეკომენდაცია და რჩევები. რეკომედაციები მეტწილად ეხებოდა შინაარსობირივ თემებს, რაც დაკავშირებულია სპეციალობასთან. ექსპერტმა ასევე თქვა, რომ ინსტიტუციამ სრულად მოახდინა პროგრამის განახლება, მიზანი და შედეგები თანხვედრაშია თუმცა აღნიშნა რომ რამდენიმე სილაბუსში კორექცია მაინც შესატანია რათა პასუხობდეს იმ სტანდარტებს რასაც მოითხოვს კანონმდებლობა. პერსონალის მხრიდან სასწავლო კურსის შედეგების შეფასების რელევანტური შედეგების შერჩევა იქნა ასევე რეკომენდირებული, რადგანაც არის შედეგები რომელიც გადის პრაქტიკულ უნარებზე თუმცა აღინიშნა, რომ

შეფასების მეთოდები შერჩეულ იქნა ტესტირებიდან გამოდინარე. აღნიშნული ინსტიტუციამ რეკომენდაციის სახით მიიღო და გაიზიარაა. თქვა რომ შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის ტრენინგებს, რომ მეტად უნდა იყოს ხელშეწობილი გადამზადება და საერთაშორსიო პროექტებში მონაწილეობა უშუალოდ პროგრმის განხორცილებაში ჩართული პერსონალის, რათა ჰქონდეს ამბიცია იმაზე რომ კურსდამთავრებული იქნება კონკურენტუნარიანი.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა, პროგრამის განხორცილებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას, თქვა რომ წლების განმავლობაში უნივერსიტეტს აქვს ეს საკითხი დღისწესრიგში და იმედია ამჯერად მოგვარდა, ვინაიდან წარმოდგენილი იყო როგორც დოკუმენტაცია ასევე ინტერვიუებით დადასტურდა რომ წინგადადგმული ნაბიჯები არის.

შემდეგი, რეკომენდაცია ეხებოდა ფინანსურ მდგრადობას, თქვა რომ ამ ეტაპზე პროგრმას ჰყავს ცოტა სტუდენტი შესაბამისად პროგრამა არის დოტაციაზე, იმისათვის რომ პროგრამა იყოს მდგრადი და უზრუნველყოფილი ფინანსურად სასურველია თუნდაც სხვა რესურსებით გრანტებით თუ სპონსორებით. შესაბამისად განხორცილედეს კამპანია რათა მეტი სტუდენტი იქნეს მოზიდული უნივერსიტეტში. თქვა, რომ დანარჩენი არის რჩევა, რომელსაც ასევე იზიარებს უნივერსიტეტი.

გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა კითხავა ექსპერტს, თქვა რომ რჩევების ჩამონათვალში იყო ერთ-ერთ რჩევა, რომელიც ეხებოდა სავალდებულო ლიტერატურის განახლებას. დასვა კითხვა რატომ აქვს ამას რჩევის ხასიათი და არა რეკომენდაციის.

რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სილაბუსებში მითითებულია ასევე ახალი ლიტერატურა. უბრალოდ ძველი ლიტერატურა ხანდახან იწვევს გაუგებრობას, ვინდაიდან ზოგიერთი გაიდლაინი და პროტოკოლი ამ წიგნებში არის მოძველებული. ექსპერტებისთვის კი რთულია იმის გარჩევა თუ რომელს იყენებს კონკრეტულ შემთხეევევაში კონკრეტული ლექტორი, ამიტომ სასურველია ძველი ლიტერატურა იყოს განახლებული.

ესპერტმა თქვა, რომ სრულად არა, მაგარამ ლიტერატურაა გასაახლებელია.

თამარ გვინიაშვილმა თქვა, რომ მე-5 სტანდარტან დაკავშირებით 5.2 კომპონენტთან იყო გაცემული არა რეკომენდაცია არამედ რჩევა გარე შეფასებათან დაკავშირებით უცხოელი ექსპერტის მიერ. არგუმნეტირებულ პასუხთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ლიეტუვას სპროტის აკადემიის პერსონალის შეფასება ამიტომ თქვა, რომ ეს რჩევა მოხსნილია. უბრალოდ მათ ვერ გაითვალისწინეს.

ექსპერტმა თქვა , რომ უნივერსიტეტმა რაც შეასრულა ვიზიტის შემდეგ ის დასკვნაში ვერ ასახეს, რაც ბუნებრივია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ჯემალ ძაგანია მიესალმა დამსწრე საზოგადეობას, თქვა რომ მიღებული ყველა რეკომენდაცია აფსოლიტურად გაითვალისწინეს, აღნიშნა, რომ ისინის არიან ამ მიმართულების ერთადერთი დაწესებულება და სხვა ანალოგი პროგრამა არ არის საქართველოში. დაამატა, რომ საზღვარგარეთ არსებული მსგავსი პროგრამებიდან იღებენ ანალოგებს. თქვა, რომ მოხდა საგნის გაცვლა ''ბიომექანიკის'' გადატანეს მე-3 სემესტრში, ფიტნესთან დაკავშირებით აფსოლიტურად განაახლეს ყველაფერი. სპორტული ლიტერატურა ძირითადად აქვთ ქართულ ენაზე. თქვა რომ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გათვალისწინებულია და სილაბუსებშიც შეტანილია. აქვე დაამატა, რომ 8-9 ლიტერაცურაც შეიძინეს საერთაშორისო ბაზებიდან.

გიორგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დაიწყო სახელმძღვანელოებზე საუბარი თქვა, რომ სწრაფი რეჟიმით დაიწყეს დასკვნის რეჟიმის მომზადება, იყიდეს 7 სახელმძღვანელო, რომელიც არის უახლესი. თქვა რომ ერთ-ერთი 800 ლარამდე ღირდა. მათი სასწავლო კურსები, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის დამამტებით გაამდიდრეს ინგლისურენეოვანი წიგნებით. ამ ყველაფერის დოკუმენტაცია რა თქმა უნდა აქვთ. აქვე აღნიშნა, რომ ფიტნესისი კურსშიც შევიდა ცვლილებები. 4 ახალი წიგნი შემოიტანეს ამ მიმართულებით, ძველი წიგნები რაც იყო გადაიტანეს დამხმარე ლიტერატურად. ეს ყველაფერი კი ატვირთულია ვებ-გვერდზე

ბიბლიოთეკის განყოფილებაში . სადაც 4 ივე ინგლისურენოვან ლიტერატურას ნახავენ აქვე აღნიშნა, რომ ერთი ისედაც ჰქონდათ 2017 წელს ქართულენოვანი. ჯამში ამ მიმართულებით 5 ლიტერატურა აქვთ.
თქვა, რომ უნივერსიტეტემა თარგმანიც უზრუნველყო, ამიტომ გაკეთდა საუკეთესო რიდერები, რომელიც დაახლოებით 200 გვერდინაი ახლა კი დაკორექტირების ეტაპზეა.
აღნიშნა, რომ რამდენიმე სილაბუსში შესატანია კორექცია. თქვა, რომ აღიარებენ რომ ხარვეზია, მაგრამ იმუშავეს ამ საკითხზე და შემოტანეს შეფასების ახალი მეთოდი, მაგალითად ფიტნესისი სილაბუსში. რაც შეეხება სპორტის ფსიქლოლოგიას, მივდინენ იმ დასკვნამდე რომ სპოტრის ფსიქოლოგიაში ჰქონდათ როგორც ცოდნა-გაცნოებიერების ასევე უარების კომპონენტი. აქვე დაამატა, რომ უნარების კომპონენტი ახლა აღარაა.
რაც შეეხებდა გადამზადების საკითხს, ამასაც რა თქმა უნდა იზიარებენ. თქვა, რომ 2022 წელს, მათ პროგრამაში ჩართული აკადემიური პეროსონალი პარტნიორ უნივერსიტეტებში იმყოფებოდენენ ერასმუს პლიუსის მობილობის ფარგლებში, მაგალითად ლიეტუაში, ბელგიაში ფინეთში და ა.შ. თქვა, რომ დაწესებულება მომავალში კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას გაიღებს, სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორიო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.
ჯემალ ძაგანიამ ისაუბრა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, თქვა რომ ისინი ამ ეტაპზე ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებეინა. ერთი სართული აქვთ სოხუმის უნივერსიტეტში . დაახლოებით 500 კვადრატული მეტრი მეორე ადგილას. დაამატა რომ კულტურისა და სპორტის სამინისტრო 1500 კვადრატულ მეტრს უთმობს ვაჟა-ფშაველას გამზირზე. რომელსაც სექტემბრისთვის გაარემონეტბენ ასევე აძლევენ ფულს ნახევარი მილიონის ოდენობით მის გასარემონტებლად. მათი ტერიტორია რამოდენიმე კვირის უკან გაიყიდა, შემოვიდა ინვესტორი რომელიც ადგილზე უშენებს 5 სართულიან შენობას, რომელიც 2 წელიწადში უნდა დამთავრდეს. 2025 წლის 31 იანვარს უნდა გაჭრან ლენტა და შევიდენ ამ შენობაში, სადაც იქნება განთავსებული 8 სპორტული დარბაზი, თქვა რომ ფეხბურთის ევროპული დონის მოედანი ისედაც აქვთ, ასევე ექნებათ ჩოგბურთის ორი ღია მოედანი, ასევე მინი ფეხბუურთის და ხელბურთის ღია მოედანი . ეს დაუჯდათ მათი ტერიტორიის ფასად რომელიც მოიავს 2 გექტრას , ამ ორი გექტრარიდან 1 მისცეს ინვესტორს რომ მის ფასად მოერე გეგტარზე აუშენონ ეს ინფრასრუქტუურა. ფიქრობს, რომ ეს ყვეაფერი წარმატებით ჩაივლის რადგან ჩართულნი არიან სერიოზული სამთავრებო სტრუქურები, მათ შორის კულტურისა და სპორტის ახალგაზრდობის მინისტრი ქალბატონი თეა წულუკიანი, პრემიერ მინისტრიც საქმის კურსშია. ამ ყველაფრის აშენებამდე გარეთ არ არიან. 1000 კვადრატული მეტრი აქვთ სოხუსმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 500 კვადრატული მეტრი ასევე თამარაშვილის ქუჩაზე აქვთ დაქირავებული.
გიორგიმ დაამტაა რომ, მისი თვალთახედვით ყველაზე რთული რეკომენდაცია არის 6. რომელიც ეხება ფინასნურ მდგრადობას. თქვა რომ ამას რამდენიმე დღეში ფიზიკურად ვერ გააკეთებდნენ. დაამატა რომ პიარის სამასახურს მეტად აქტიურად ჩართავენ ამ საკითხთან დაკავშირებით. სტუდენტების, რაოდენობას კარგავენ მაშინ როდესაც იგებენ რომ უნივერსიტეტი არ არის აკრედიტებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, თქვა რომ დაწესებულებას აქვს ინგლისურენივანი ლიტერატურა, ასევე აქვთ დაშვების წინაპირობა განსაზღვრული საერთაშორისო ენის განმსაზღვრელი სერთიფიკატები. დასვა კითხვა თუ აქვთ განსაზღვრული მინიმალური ქულა TOEFL-თვის. რა ქულით უნდა მოვიდენე იმისათვის რო დააკმაყოფილონ შესაბამისი დონე.
გიორგიმ უპასუხა, თქვა რომ ამ საკითხს თავიდან ბოლომდე არეგულირებს ენების კათედრა და ის პერსონალები, რომლებიც ინგლისური ენის პედაგოგები არიან . TOEFL-ს სჭირდება ის ქულები რაც B2 შესაბამისია. ზუსტად კი ამას კათედრა განსაზღვარვს.

ირინა გველესინამა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ინსტიტუციასთან . რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნიათ უცხოურ სპორტულ კლუბებში სტუდენტთა სტაჟირების ხელშეწყობა და ხო არ იგეგმება გარკვეული ღონისძიებები ამ მიმართულებით.
რაზეც მაია ხურცილავამ უპასუხა, თქვა რომ ამ კუთხით თანამშრომლობა რა თქმა უნდა შესაძლებელია უცხოელ უნივერსიტეტებთან. თუმცა მსგავსი პრეცედენტი ჯერ არ ჰქონიათ. აღნიშნა რომ სპორტის მიმართულებით საერთაშორის დონეზე სუდენტები მოძრაობაში არიან. ამ კუთხით თანამშრომლობენ ევროპის სპორტის ასოციასთან. თქვა, რომ საინტერსო მიგენებაა და სამომავლოდ შეიძლება კარგი სიახლეების დანერგვის წინაპირობა იყოს. თქვა რომ ზაფხულის პერიოდში შესაძლოა ამ ყვეაფერის დანერგვა.
გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადებას, თქვა რომ თვითშეფასება ისეთ დროს არის ჩაბარებული რომ იქ ვერ აისახებოდა 2022 წლის მიღება. დასვა კითხვა რამდენი სტუდენტი მიიღეს წელს .
მაია ხურცილავამ უპასუხა, რომ წელს მიიღეს 4 სტუდენტი და ჰქონდათ ანალოგიური პრეცედენტი, რომ აფინანსებდენენ სტუდენტეს მაგრამ რადგან არააკრედიტებული იყო უარი თქვეს. აქვეე დაამატა, რომ ეს პროგრამისთვის პირველი აკრედიტაციია, მათი მხრიდან მზაობა სრულად არის .
ჯემალ ძაგანიამ დაამატა, რომ სიმცირე გამოწვეულია სხვდადასხვა მიზეზებით პირველ რიგში თქვა რომ დიდი განსხვავაება ავტორიზებულ და აკრედიტებულ უნივერსიტეტბს შორის. როდესაც იგებენ რომ პროგრამა არ არის აკრედიტებული საბუთები უკან გააქვთ. თქვა რომ გრანტიანი სტუდენტი არ ჰყავთ ბაკალარტზე. რადგან აქ აბარებენ ისეთი სტუდნეტები რომესაც საშუალო სკოლაში არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ იმეცადინონ. თქვა რომ მასწავლებელის რაოდენობა 15დან 20მდეა რომელიც ღებულობს მონაწილეობას ამ პროგრამის განხორცილებაში. მათი ანაზღაურება კი საკუთარი სახსრებით ხდება. რადან 4 სტუდენტის შემოტანილი 2500 ლარი სულ არის 10 000 ლარი და ბუნებრვივია ეს თანხა არ ეყოფა მათ ანაზღაურებას. ის რომ ეს პროგრამა არ ჰქონდეთ არ გამოდის . თქვა, რომ არ არის სამ საფეხურიანი პროგრამა, მაგრამ შემდეგ სხადასსხვა უნივერსიტეტბში იცავენ სადოტრორო ხარისხს. თქვა, რომ კურსზე აქვთ სამი სპეცილობა ესნია : მწრთვნელი, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია მენეჯმენტი. ორივე კურსზე თითო სპეციალობაზე ჰყავთ 8-10 კაცი მაქსიმალური რაოდენობა ყოველწლურად. ფირობენ, რომ აკრედიტაციის შემდეგ მეტ სტუდენტს მიიღებენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:50 სთ
დასრულების დრო: 17:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „სპორტის ბიომექანიკა“ ადრეულ სემესტრებში შესწავლა.
2. სასწავლო კურსში „სპორტის ფსიქოლოგია“ შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსის მიზანი და შედეგები, შინაარსის მიხედვით განსაზაზღვრია კრედიტების და საათების რაოდენობა;
3. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის მხრიდან კურსის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური მეთოდების შერჩევა.
4. რეკომენდირებულია ყურადღება გამახვილდეს სავალდებულო ლიტერატურაზე, რადგან რამდენიმე სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას.
5. რეკომენდირებულია პერსონალის საერთაშორისო ტრენინგების და გადამზადების უფრო მეტად ხელშეწყობა დაწესებულების მიერ, საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება.
6. რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით სტაბილური უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
7. პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის, რეკომენდირებულია სტუდენტების მოზიდვის კამპანიის განხორციელება და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.
8. პროგრამის წინაპირობებში ზუსტად განისაზღვროს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება.

მეთორმეტე საკითხი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

N	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია / Pharmacy
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N303280, 30.03.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI

9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ.თბილისი, მერაბ კოსტავასქუჩა N69, სასწავლო კორპუსი N2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ქალბატონმა ეკატერინე შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეთორმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ია ფანცულაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ მათ შეისწავლეს არა ყველა სტანდარტი არამედ 1, 2, და 4 სტანდარტი. გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან ერთად ფაქტიურად 2021 წლის 30 მარტს განხორცილედა პროგრამის აკრედიტაცია. მიენიჭა აკრედიტაცია 1 წლიანი რეკომედაციების შესრულების შესახებ ანგარიშის და მისი მონიტორინგის შესრულებით. გაცემული იყო თავის დროზე 6 რეკომედაცია. რომელთაგან 3 რეკომენდაცია სრულად შესრულებულია, 3 რეკომენდაციის შესრულება დაწყებულია მაგრამ არის მცირე უზუსტოები ამიტომ ჩათვალეს რომ ეს არის მეტწილად შესრულებული. აქედან გაომდინარე სტანდარტი 1 და სტანდარტი 4 შესაბამისია. თუმცა მე-4 ში შესაძლებელია, რომ ოპტიმიზირება მოხდეს. თქვა, რომ დაწყებულია ტექნიკური ბაზის განხორცილება, რელურად ოპტიმიზაცია გულისხმობდა ერთად განთავსდეს ეს სივრცე .
ექსპერტი მაკა ჯავახია, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას თქვა, რომ დარჩა ორი რეკომენდაცია . რომლის შესრულებაც დაწყებულია, მაგრამ სრულად ვერ შსრულდა ჯერ-ჯერობით აიმიტომ არის მეტ წილად შესრულებული. ეს ეხება სწავლა სწავლბის მეთოდებს. პროგრამაში არის უმარვალი სწავლა სწავლების მეთოდები მოწოდებული დაახლოებით 17 მეთოდია, მაგრამ აღსანიშნავია რომ სწავლა სწავლების მეთოდები მეტ წილად არის გათვალისწინებული კურსის სპეციფიკა და შინაარსი, თვითინ ინტერვისუს დროსაც გამოვლინდა, რომ სილაბუსებში

წარმოდგენილი ეს მეთოდების გამოყენება არ ხდება სრულად. რადგანაც სილაბუსებში ეს ცვლილებები ვერ აღმოაჩინეს ეს რეკომედაცია დარჩა. თქვა, რომ პირველი აკრედიტაციის დროსაც იყო ექსპერტთა გუნშიში და ახსოვს ეს რეკომენდაცია.
რაც შეეხება 2.4 სტანდარტთან მიმართებით რეკომედაციას. რეკომენდირებულია მიდინარე შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთოდები გადაიხედოს და ითვალისწინებდეს კურსის სფეციფიკას აქაც დარჩა, როგორც მეტწიად შესრულებულია ვინაიდან დაემატა ოსკის გამოცდა. ეს გახლავთ პირველადი სამედიცინო დახმარება და ფარმაკოთერაპია. გათვალისწინებულია უკვე თანამედროვე მეთოდი, ადრეც იყო ჩადებული პროგრამაში მაგრამ არ ხორცილედებოდა. ახლა კი ამ ორ სილაბუში განხორცილედა ცვლიება შეიტანეს ოსკის გამოცდა. დაამატა, რომ ინტერიურების დროს გამოიკვეთა ერთი საკითხი რომ პერსონალი საჭიროებს გადამზადებას.
დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება ანუ მინიმანული დადებული ქულა იყო 11 ახლა კი გაიზარდა და გახდა 21. რაც გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს.
ასევე აქვთ რჩევა, წამლის ტექნოლოგიის ლაბორატორია სასურველი იქნება თუ განთავსდება მათივე კორპსუსში სადაც სხვა ლაბორატიაა .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ 7-ივე რეკომედაცია რომელიც იყო აკრედიტაციის საბჭოზე წარმოდგენილი მაქსიმალურად ეცადნენე ყველა შეესრულეინათ. ინფრასტრუქტურული პროექტების ბაზის გაუმჯბებსების კუთხით თქვა რომ მიმდინარე რეჟიმშია.პროგრამის ინტერნაციონალიზმის კუთხითაც გადადგმულია ნაბიჯები და გაუმჯობესებულია.
რაც შეეხება სილაბუსებში მოცემულ სწავლა სწავლების მეთოდებს და შეფასების მეთოდებს. თქვა რომ ამ მიმარულებით გუნდმა ძალიან აქტიურად იმუშავა, არა მხოლოდ ბაზა არსებობს არამედ ინფორმაციაც მიწოდებულია.
მამუკა მაისურძეს მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ ეს პროგრამა წარმოდგენილი იყო ანგარიშის ფარგლები, მაშინ წაროგდენილი იყო ნაწილობრივ რეკომენდაციების შესრულების შესხებ. ამჯერად ორი რეკომედაცია ჰქონდათ, რომლებიც ჩაითვალა რომ ნაწილბრივად შესრულებულია. ეს არის სილაბუსებში სწავლა სწავლების მეთოდოლოგიის გაწერა კურსების სფეციფიკაზე დაყრდნობით დასკვანაში კი მითითებული იყო რომ სწავლა სწავლების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდულაურ საჭიროებებს არის მრავაალფეროვანი და მოიცავს თითქმის ყველა თანამედროვე მეთოდს, თუმცა უნდა აღინიშნის რომ უმრავლესობაში გამოიყენება ერთნაირი სწავლა სწავლების მეთოდები რამაც შესაძლებელია შეაფერხოს სწავლის შედეგების მიღწევა. დაამატა რომ პროგრამას აქვს მკაფიოდ გაწერილი სწავლის შედეგების შესრულების მექანიზმი, სადაც კრიტერიუმების სახით გაწერილია თუ რა კრიტერიუმებს აფასებენ სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულაბს ასევე აქვს სამიზნე ნიშნულები. მონიტორინგი მიმდინარებოს სისტემატიურად ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, პირდაპირი შემოწმების მეთოდით. სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგები ძირითადად შესრულებილია ამ ეტაპზე. დაწესებულება განაგრძობს რა თქმა უნდა სილაბსების დახვეწას. მომავაში თუ დადგინება რაიმე გადაცდომა მონიტორინიგის შედეგად ამ გადაცომას აღმოფხვრავენ აუცილებლად.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას შეფასების სიტემაზე, დასკვნაში ნათქვამია რომ საკურსო პროექტის შეფასებაში ბიჯი ქულებს შორის არის საკმაოდ დიდი რამაც შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს სტუდენტებს შორის. ვერ გაერკვნენ თუ რა შემთხვევევაში შეიძლება მიიღონ კონკრეტული ქულა. ამ შეთხვევაშიც გაიცა საქმიანი რეკომენდაცია, რომელზეც იმუშავეს მაგრამ ამ ეტაპზე მსგავის გაურკვეველობა სტუდენტებში არ გამოვლენილა. სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის სულ არის შესაბამისად ყველა საკითხი რაც შეიძლება წამოიჭრას წამოჭრისთანავე გვარდება. თუმცა ამაზე გააგრძელებენ მუშაობას და დეტალურად დაწერენ თითოეული ქულის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ხათუნდა თოდაძე მიესლმა დამსწრე საზოგადოებას, დასვა დამაზუსტებელი კითხვა თქვა რომ დოკუმენტაციაში აღწერილია ოსკის გამოცდა საჭიროა ორი კურსის შესაფასებლად პირველი ეს გახლავთ პირველადი დახმარება, და ქალბატონი ხათუნას აზრით ამ შემთხვევაში ოკის გამოცდა ძალიან რელევენატურია. მეორე სასწავლო კურსი ეს არის ფარმაკო თერაპია. ითხოვა მოკლე განმარტება ფარმაკოო თერაპიის შეფასების შეთხევევაში ოსკი როგორ არის გამოყენებული და რა დოზით. რას აფასებენ ოსკით და როგორ აფასებენ.
რაზეც პროგრამის ხელმძღავენლმა, თამარ ცინცაძემ უპასუხა, თქვა რომ ფარმაცია არ ითვალისწინებს რა თქმა უნდა პაციენტის გასინჯვას , მგრამ ჩივილების გამოვლენას ანუ გამოკითხვის მეთოდი თვითონ პაციენტისათვის, ეს პირველი მაგიდის ფარმაცევტის დანიშნულება არის მან ჩივილები აუცილებლად უნდა გამოკითხოს.
ფარმაცევტული ზრუნვა მოიცავს ამ ყვეაფერს თვითონ. კომპლექსურად ფარმაცევტის დანიშნულებაა მან ჩივილები მიიღოს, საშიში სიმპტომები გამოავლინოს და რეკომენდაციები გასცეს პაციენტზე. ეს მსოფილი მოთხოვნაა. ის კარგად უნდა ერკვევოსეს ამ დავადებებში და აქედან გამომდინარე ჩათვალეს მიზანშეწონილად, რომ მათ შესწავლილი ჰქოდეთ ეს სიმპტომები დავადებები და გამოიყენოს შემდეგ თავის პრაქტიკაში . გარდა ამისა იგი ჩართულია კლინიკურ ფარმაციაში, სადაზღვეო სისტემაში და ალგორითმების შექმნაში. ის რომ ფარმაცევტმა ჩივილები გამოიკვილოს და აქედან გამომდინარე რეკომედაციები გასცეს მიზანშეწონილად ჩათვალეს, და საინტერესო იქნებოდა ასეთი სისტემით. იმ შემთხევევაში თუ ეს მიუღებელი აღმოჩნდება სტუდენტებისთვის შეცვლიან სხვა მიმართულებით.
ხათუნდა თოდაძემ თქვა რომ რელევანტური უნდა იყოს შეფასების მეთოდი იმ საგნისა რომელსაც აფასებენ, ამ შემთხევევაში ოსკის გამოყენება ფარმაკო თერაპიაში ფიქრობს, რომ ნაწილობრივ როგორც გამოცდის ერთ-ერთ კომპონენტი არ იქნბოდა ურიგო. თუ კი კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს შეაფასებდა. ამ შემთხევევაში კომბინირებული გამოცდა უკეთესი იქნებოდა ვიდრე წმინდად ოკის გამოცდა რადგანაც ფარმაკო თერაპია სხვა ტიპის საგანია. მისი აზრით ოსკით შეფასება არ არის რელევანტური.
რაზეც თამარ ცინცაძემ უპასუხა, რომ გაითვალისწინებენ აუცილბლად და კომპლექსურად ჩასვამენ. ასევე ისაუბრა ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორიაზე, თქვა რომ სტუდენტები დადიან აფთიაქებში რომლებსაც აქვთ საასისტენტობები და ამ ყველაფერასაც გაივალისწინებენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:22 სთ
დასრულების დრო: 17:31 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით